ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. მაისის 15 № 9 ნაწილი პირველი

## შინაარსი:

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

71. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

72. ზოგიერთი სამაზრო სასამართლოს გაუქმების შესახებ.

### ცენრტალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

73. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის სამდღიურის ჩატარების შესახებ.

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

74. საბავშვო დაწესებულებებიდან იმ მარტოხელა მშრომელ ქალთა შვილების დათხოვნის აკრძალვის შესახებ, რომელთაც საშოვარი დაჰკარგეს.

75. ტრანსპორტის საჭიროებისათვის საბალასტო და ქვის კარიერების დასამუშავებლად საბადო ადგილებისა და ზედაპირის ნაკვეთების მიჩენისა და გამოყენების წესის შესახებ.

76. სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანების დაფარვის შესახებ.

77. „ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოებისა და ვაჭრობის მოწესრიგებისათვის“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია „ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება-ვაჭრობის მოწესრიგებისათვის“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10 დადგენილების შესაფარდებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. № 21, მუხ. 244).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

## 71. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი „დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს იგი საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების გამოცემამდე არსებული წესისამებრ აქა თუ იქ შემოღებული თვითდაბეგვრა მოსახლეობისა, რაც ჯერ კიდევ განხორციელებული არ არის მთლად ან ნაწილობრივ, დაექვემდებაროს „მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულებით“ გათვალისწინებულ წესებს თვითდაბეგვრის მიზნებისა და უკიდურესი რაოდენობისა, აგრეთვე ცალკე მეურნეობათა და მოქალაქეთა შორის თვითდაბეგვრის საერთო თანხის გაწერისა, მათ მიერ თვითდაბეგვრით დაკისრებული მოვალეობის შესრულების წესისა და შეკრეფილი სახსარის შენახვისა, გამოყენებისა და აღნუსხვის წესის მხრით.

3. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გამოსცეს ინსტრუქცია „მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების“ შეფარდებისათვის და აგრეთვე მისცეს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სახელმძღვანელოდ შკალა თვითდაბეგვრაში შრომით მონაწილეობისა და თვითდაბეგვრის ნატურალური ფორმის ფულად გამოანგარიშებისათვის.

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 12-ს თარიღისა და მე-3 №-ის დადგენილება „ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 3) გაუქმებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 20.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ.

1. სოფლის მოსახლეობის ისეთ ადგილობრივ კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-2 მუხლში, შეიძლება სოფლის ყველა მცხოვრებლისათვის სავალდებულო თვითდაბეგვრა შემდეგ მუხლებში გათვალისწინებული წესითა და საფუძვლით.

2. თვითდაბეგვრა შეიძლება მხოლოდ ქვემოაღნიშნულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, როგორიც არის:

ა) კულტურულ-განმანათლებელ, ჯანმრთელობის დაცვისა, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა და აგრეთვე ისეთ დაწესებულებათა მოწყობა და შენახვა (აშენება, გათბობა, განათება და სხვ.), რომელიც მიზნად აქვთ სოფლის მეურნეობის გაძლიერება-განვითარება (სკოლა, ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველო, კლუბი, წითელი კუთხე, სახალხო სახლი, საბავშვო ბაღა, საბავშვო სახლი და ბაღი, საავადმყოფო, სამკურნალო, საფერშლო, საბეითლო და აგრონომიული პუნქტები, პური სამარაგო მაღაზია, საინვალიდო სახლი, მოხუცებულთა თავშესაფარი სახლი, ღამის სათევი სახლი და სხვ.);

ბ) გზათა მშენებლობა (გაყვანა-გაკეთება, რემონტი და შენახვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის შარა გზებისა და სამინდვრე გზებისა, ხიდებისა, გადასავალი და გადასაზიდი ადგილებისა და სხვ.);

გ) ხანძრისაგან დაცვა (სახანძრო დეპოებისა და სარაიების აგება, გაწყობა, სპეციალური მომარაგება, შენახვა, მომსახურეობა და სხვ.);

დ) სოფლის კეთილმოწყობა (ბებისა, არხებისა, ქიაღნოზებისა, საზოგადოებრივი ხელოვნური ტბებისა და სხვ. წყლის საცავების მოწყობა და წესიერად შენახვა, წესიერად შენახვა აგრეთვე სასაფლაოებისა, საქონლის ლეშის ჩასაფლავ ადგილებისა, მოედნებისა, ქუჩებისა, გასასვლელი ადგილებისა და სხვ.) და

ე) სოფლის დაცვა.

**შენიშვნა 1.** ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ საჭიროებათა დაკმაყოფილება თვითდაბეგვრის საფუძველზე არ ანთავისუფლებს მოსახლეობას გზათა მშენებლობის მოვალეობისაგან, რაც გათვალისწინებულია „სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომითი ბეგარის დებულებაში“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 204).

**შენიშვნა 2.** აკრძალულია თვითდაბეგვრა მოსახლეობისა ადმინისტრატიული ხასიათის საჭიროებისათვის (ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომუშავეთა, მილიციის თანამშრომელთა, სოფლის აღმასრუბელთა და სხვ. გასამრჯელოსათვის, მათთვის სადგომების მოწყობისა და ამ სადგომების შენახვისათვის და სხვა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების გასტუმრებისათვის (საკანცელარიო, საგზაო და სხვ.).

3. თვითდაბეგვრა მოსახლეობისა შეიძლება: ა) ფულის გადახდით; ბ) საგნებისა და მასალის ნატურად მიცემით და გ) მუშაობაში შრომით მონაწილეობის მიღებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. თვითდაბეგვრის საკითხი შეიტანება სოფლის მცხოვრებთა საერთო კრებაზე (ყრილობაზე) სათემო საბჭოს (ან სოფლის საბჭოს, სადაც იგი მოწყობილია), სათემო აღმასრულებელი კომიტეტისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ცალკე მოქალაქეთა წინადადებით. თვითდაბეგვრის შემოსაღებად საჭიროა, რომ სოფლის მცხოვრებთა საერთო კრებას (ყრილობას) დაესწროს სოფლის იმ მცხოვრებთა საერთო რიცხვის ნახევარზე არა ნაკლები, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ; დადგენილება თვითდაბეგვრის შემოღების შესახებ მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით.

5. უკეთუ დასაკმაყოფილებელია ერთი სათემო საბჭოთი (ან სათემო აღმასრულებელი კომიტეტით იქ, სადაც მოქმედობს სათემო საბჭო) გაერთიანებული ორი ან რამდენიმე სოფლის საჭიროება, თვითდაბეგვრის საკითხი უნდა გადაწყდეს ან თვითეული დაინტერესებული სოფლის მცხოვრებთა საერთო კრებაზე (ყრილობაზე) ცალ-ცალკე, ან სათემო აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით მოწვეულ ყველა დაინტერესებული სოფლის მცხოვრებთა გაერთიანებულ საერთო კრებაზე (ყრილობაზე), იმ პირობით კი, რომ ამ გაერთიანებულ კრებას დაესწროს ყოველი დაინტერესებული სოფლის საარჩევნო უფლების მქონე მცხოვრებთა საერთო რიცხვის ნახევარზე არა ნაკლები. ხოლო უკეთუ საზოგადოებრივი საჭიროების დაკმაყოფილება ეხება რამდენსამე ისეთ სოფელს, რომელიც ორ ან რამდენიმე თემის რაიონშია მოქცეული, თვითდაბეგვრის საკითხი შეიტანება მცხოვრებთა საერთო კრებაზე (ყრილობაზე) სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით და გადაწყდება ამა მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ (ე. ი. თვითეული თემისათვის ცალკე).

**შენიშვნა.** უკეთუ ამა დადგენილების მე-4 და 5 მუხლებში გათვალისწინებული საერთო კრება არ შესდგა მცხოვრებთა საჭირო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არა უადრეს სამი დღისა ამ კრების ჩაშლის დღიდან, სათემო აღმასრულებელი კომიტეტი (ან სასოფლო საბჭო, სადაც იგი მოწყობილია) მოიწვევს მეორე საერთო კრებას (ყრილობა), რომელიც კანონიერად ჩითვლება, თუ მას დაესწრო სოფლის საარჩევნო უფლების მქონე მცხოვრებთა რიცხვის ერთ მესამედზე არა ნაკლები.

6. მცხოვრებთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებაში თვითდაბეგვრის შესახებ უნდა აღინიშნოს: ა) თვითდაბეგვრის მიზანი; ბ) თვითდაბეგვრის ფორმა; გ) თვითდაბეგვრით დაწესებული შესატანის საერთო რაოდენობა (ფულადი ანგარიშით), დ) თვითდაბეგვრით დაწესებული შესატანის გადახდის საბოლოო ვადა; ამასთანავე, უკეთუ კრება დადგენს, რომ თვითდაბეგვრით დაწესებული შესატანი რეგულარულად იქნეს გადახდილი, დადგენილებაში უნდა განისაზღვროს, რა ვადით შემოიღება თვითდაბეგვრა; ეს ვადა ერთ წელს არ უნდა აღემატებოდეს; ე) თვითდაბეგვრისაგან განთავისუფლებული მეურნეობანი.

7. თვითდაბეგვრით დაწესებული შესატანის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს ერთიანი სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადების საერთო თანხისას, რაც გაწერილია მთლად სოფლის მეურნეობებზე იმ საშენაწერო წლის განმავლობაში, როდესაც შემოიღება თვითბეგვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შენიშვნა.** საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს, საერთო კრების (ყრილობის) შუამდგომლობით, რაც გამოტანილი იქნება ამა დებულების მე-4 და 5 მუხ. წესისამებრ და დამტკიცებული სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ,—ნებადართოს ამა მუხლში აღნიშნული თვითდაბეგვრის უკიდურესი რაოდენობის გადიდება, ხოლო იმ პირობით, რომ ეს რაოდენობა არ აღემატებოდეს 100%-ს სასოფლო-სამეურნეო და საშემოსავლო გადასახადების საერთო თანხისას, რაც შეწერილი აქვს სათანადო საშენაწერო წელს უწყებული სოფლის ყველა მეურნეობას.

8. მცხოვრებთა საერთო კრებას (ყრილობას) შეუძლიან მთლად ან ნაწილობრივ გაანთავისუფლოს თვითდაბეგვრისაგან: ა) ცალკე ნაკლებძალოვანი მეურნეობა; ბ) იმ სამხედრო მსახურის მეურნეობა, რომელიც შეუწყვეტელ სამსახურს იხდის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილში.

**შენიშვნა.** იმ პირზე, რომელიც სახელმწიფო სამსახურშია და დამოუკიდებელ საგლეხო მეურნეობას არ მისდევს, თვითდაბეგვრა არ გავრცელდება ისეთ შემთხვევაში, უკეთუ მისთვის უშუალო სარგებლობა არ მოაქვს მემოღებული თვითდაბეგვრით განსახორციელებელ ღონისძიებას.

9. სათემო აღმასრულებელი კომიტეტი ან სასოფლო საბჭო, სადაც იგი მოწყობილია, არა უგვიანეს სამის დღისა მცხოვრებთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ, ამა დებულების მე-4 და 5 მუხ. წესისამებრ, თვითდაბეგვრის შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან, გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების წარმომადგენლისა და კრების (ყრილობა) მიერ არჩეული პირის მონაწილეობით, გაანაწილებს თვითდაბეგვრის საერთო თანხას სოფლის ცალკე მეურნეობათა და მცხოვრებთა შორის იმ პაების რაოდენობის პროპორციულად, რაც თვითეული ვალდებული მეურნეობისა ან მცხოვრებისათვის გამოანგარიშებული იქნება ამა დებულების მე-10-12 მუხლ. გათვალისწინებული წესების თანახმად.

10. თვითდაბეგვრის პაი გამოიანგარიშება უწყებულ წელს თვითეული მეურნეობისათვის შეწერილი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის პროპორციულად, ყოველგვარი მონაკლებისა და შეღავათის გამორიცხვით; თანაც თვითეული მანეთი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა მიეთანაბრება თვითდაბეგვრის თვითეულ პაის.

11. იმ პირთათვის, რომელნიც სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც ამ გადასახადით ან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან, თვითდაბეგვრის პაი განისაზღვრება ზემოაღნიშნული წესისამებრ (მუხ. 10), თანხების შემდეგნაირად გამოანგარიშებით:

ა) იმ პირთათვის, რომელნიც სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადით მე-2 და 3 №-ის განაწერის თანახმად იბეგრებიან, თვითდაბეგვრის პაი განისაზღვრება პროპორციულად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხისა, რაც მათ უნდა გაეღოთ იმ შემოსავლის თანხის მიხედვით, რომელიც გამორკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ული იქნება საუბნო საგადასახადო კომისიის მიერ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისათვის;

ბ) იმ პირთათვის, რომელნიც სამუშაო ხელფასს იღებენ, თვითდაბეგვრის პაი განისაზღვრება პროპორციულად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხისა, რაც მათ უნდა გაეღოთ იმ შემოსავლის თანხის მიხედვით, „რომელიც გამორკვეული იქნება საუბნო საგადასახადო კომისიის მიერ, „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების“ 24 მუხ. გათვალისწინებული წესის შეფარდებით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 24 №-რი, მუხ. 212);

გ) იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც პირად რეწოობას ეწევიან, ხოლო სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს-კი არ იხდიან,—თვითდაბეგვრის პაი განისაზღვრება პროპორციულად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხისა, რაც მათ უნდა გაეღოთ იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც გამორკვეული იქნება სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (ან სასოფლო საბჭოს მიერ იქ, სადაც იგი მოწყობილია) თვითდაბეგვრის საერთო თანხის განაწილებასთან ერთად და ამა დებულების მე-9 მუხ. წესისამებრ;

დ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა და მოქალაქეთათვის თვითდაბეგვრის პაი განისაზღვრება ერთიდან სამამდე სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (ან სასოფლო საბჭოს მიერ იქ, სადაც იგი მოწყობილია) თვითდაბეგვრის საერთო თანხის განაწილებასთან ერთად და ამა დებულების მე-9 მუხ. წესისამებრ.

12. თვითდაბეგვრის პაის რაოდენობა (ფულად) გამოიანგარიშება მცხოვრებთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ შემოღებული თვითდაბეგვრის თანხის ამა დებულების მე-10 და მე-19 მუხ. წესისამებრ განსაზღვრული პაიების საერთო რიცხვზე გაყიდვით.

13. ამა მუხლის მე-9 მუხ. წესისამებრ მიღებული განაწილება თვითდაბეგვრისა დაუყოვნებლივ გამოიკიდება თვალსაჩინო ადგილას ამ სოფელში, სადაც თვითდაბეგვრა სწარმოებს, და აგრეთვე გამოეცხადება, ხელწერილის ჩამორთმევით, სოფლის აღმასრულებელის მეშვეობით, დაბეგრილ მეურნეობათა და პირთ. სოფლის ყოველ მცხოვრებს უფლება აქვს შვიდი დღის განმავლობაში, დღიდან განაწილების გამოცხადებისა, განასაჩივროს სათემო აღმასრულებელ კომიტეტში როგორც მთელი დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ, ისე თვითდაბეგვრის თანხის განაწილება.

14. წინა მუხლში განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებას და თვითდაბეგვრის განაწილებას, ყველა მათ გამო შემოსული საჩივრით, სათემო აღმასრულებელი კომიტეტი თავის დასკვნით-ურთ წარუდგენს დასამტკიცებლად სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

15. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი გაიუმქმებს საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ იმ შემთხვევაში: ა) უკეთუ სოფლის მცხოვრებთა საერთო კრებას (ყრილობას) უფლება არა ჰქონდა გამოეტანა დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ, ან უკეთუ ის ღონისძიება, რის განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხორციელებლადაც მიღებულია თვითდაბეგვრა, გათვალისწინებული არ არის ამა დებულებით, ან უკეთუ გადამეტებულია ამა თუ იმ სოფლისათვის დაწესებული თვითდაბეგვრის უკიდურესი რაოდენობა.

16. უკეთუ განაწილება სწორი ან მიზანშეწონილი არ არის, სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა შეიტანოს ამ განაწილებაში საჭირო ცვლილებანი, თუნდაც განაწილება არც კი იყოს განსაჩივრებული.

17. უკეთუ აღმასრულებელი კომიტეტი ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, რაც სათემო აღმასრულებელი კომიტეტი წარადგენს საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ, არ გააუქმებს ამ დადგენილებას ან არ შეიტანს ცვლილებას სათემო აღმასრულებელი კომიტეტის (სათანადო შემთხვევაში—სოფლის საბჭო) მიერ მიღებულ განაწილებაში, დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ და განაწილება დამტკიცებულად ჩაითვლება.

18. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაში საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ უნდა აღინიშნოს უარისთქმის მიზეზები; ამასთანავე ეს მიზეზები უნდა ეცნობოს მომჩივანს.

უკეთუ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება გამოტანილ იქნა თვითდაბეგვრის ძალაში შესვლის შემდეგ, ის თანხა, რაც მომჩივანს ზედმეტად აქვს შეტანილი ან გადახდევინებული, უნდა დაებრუნოს მას ან გაეგზავნოს შემდგომი თვითდაბეგვრის განხორციელების დროს.

19. სათემო აღმასრულებელ კომიტეტს (სათანადო შემთხვევაში—სასოფლო საბჭოს, სადაც იგი მოწყობილია) დაეკისრება შემდეგი მოვალეობანი მოსახლეობის თვითდაბეგვრისათვის:

ა) დააწესოს ვადები თვითდაბეგვრის გადასახადის შეტანისათვის (ფულად და ნატურით), აგრეთვე დააწესოს, საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებასთან შეფარდებით, ვადები მცხოვრებთა გამოცხადებისა თვითდაბეგვრის წესით შესასრულებელ სამუშაოში მონაწილეობის მისაღებად;

**შენიშვნა.** თვითდაბეგვრის ფულადი გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ორ ვადაზე თანაბარ ნაწილებად, იმ პირობით კი, რომ პირველი ნაწილი შეიტანება არა უადრეს 7 დღისა და არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან საერთო კრების (ყრილობის) მიერ სათანადო დადგენილების გამოტანისა, ხოლო მეორე ნაწილი—ერთი თვის შემდეგ პირველი ნაწილის შეტანის დღიდან.

ბ) შეჭკრიფოს, შეინახოს და აღნუსხოს თვითდაბეგვრის წესით შესული სახსარი, საგანი და მასალა;

გ) იყიდოს მასალა, ინვენტარი და სხვა და დასდ.ს, მომქმედი კანონების მიხედვით, ხელშეკრულება და გარიგება, რაც საჭიროა თვითდაბეგვრის წესით განსახორციელებელ ღონისძიებათათვის;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ მუშაობას, რომელშიაც მოსახლეობა შრომით იღებს მონაწილეობას; გაანაწილოს ცალკე მცხოვრებთა და მეურნეობათა შორის სამუშაო და მოვალეობანი; დანიშნოს მუშაობის ხელმძღვანელნი; აღნუსხოს შესრულებული სამუშაო და მუშაობა-ვალდებულ პირთა გამოცხადება;

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე) განაგოს თვითდაბეგვრის წესით შეძენილი ან შექმნილი ქონება და კაპიტალები;

ვ) შეუცვალოს ცალკე მეურნეობათა და მცხოვრებთ საერთო კრების (ყრილობის) მიერ დაწესებული ფორმა თვითდაბეგვრისა სხვა ისეთი ფორმით, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-3 მუხლში, და ამასთანავე ანგარიშში მიიღოს სოფლის მოსახლეობის უმთავრესად ნაკლებძალოვანი ფენების ინტერესები;

ზ) შეადგინოს, სათემო ბიუჯეტთან ერთად, ადგილობრივ საკიროებათა თვითდაბეგვრის წესით დაკმაყოფილების წლიური გეგმა და შეიმუშაოს წინასწარი ხარჯთაღრიცხვა აღნიშნულ ღონისძიებათათვის;

თ) წარუდგინოს პერიოდიულად საერთო კრებას (ყრილობას) და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსარის ხარჯვისა და მოსახლეობის შრომით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში.

**შენიშვნა.** უკეთუ თვითდაბეგვრის წესით დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს ორი ან რამდენიმე თემის რაიონში შემავალი სხვადასხვა სოფლის საერთო საჭიროებანი, ამა მუხლში აღნიშნულ მოვალეობათ განახორციელებენ სათანადო სათემო აღმასრულებელი კომიტეტები ურთიერთთან შეთანხმებით.

20. თვითდაბეგვრით გათვალისწინებულ მოვალეობათა (ფულად და ნატურად შესატანი, შრომით მონაწილეობა) შესრულებისათვის ამა დებულების მე-19 მუხ. „ა“ პუნქტით დაწესებული ვადების გასვლის შემდეგ—ნაწილობრივ ან მთლად შეუსრულებელი ვალდებულებანი გადაირიცხება ნარჩენად, ნატურად შესატანისა და შრომით მონაწილეობით ფულზე გამოანგარიშებით და ეს ნარჩენი გადახდევინებულ იქნება ადმინისტრატიული წესით „გადასახადთა გადახდევინების დებულების“ წესების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი მუხ. 518).

21. თვითდაბეგვრით შეკრეფილი სახსარი უნდა მოხმარდეს მარტოოდენ იმ მიზნებს, რაც აღნიშნულია სოფლის მცხოვრებთა საერთო კრების (ყრილობის) სათანადო დადგენილებაში. ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლისამებრ (1928 წ. რედ.)

უკეთუ თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსარი, რაიმე მიზეზით, შეუძლებელია მოხმარდეს საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებაში აღნიშნულ მიზანს,—ამ საერთო კრებამ უნდა გამოიტანოს, ამა დებულებაში გათვალისწინებული წესების დაცვით, ახალი დადგენილება—შეკრეფილი სახსარის სხვა, ამა დებულების მე-2 მუხლში გათვალისწინებულ საჭიროებათა და ღონისძიებათათვის მოხმარებისა ან კუთვნილებისამებრ დაბრუნების შესახებ.

22. თვითდაბეგვრის წესით შეკრეფილი სახსარი უნდა ინახებოდეს სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროებში.

23. საერთო მეთვალყურეობის გაწევა თვითდაბეგვრის განხორციელებისათვის დაეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს. სათემო ადმასრულებელი კომიტეტის სარევიზიო კომისიას დაეკისრება სათემო აღმასრულებელი კომიტეტის (და სოფლის საბჭოს) მიერ თვითდაბეგვრის განხორციელებისათვის წარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბული მუშაობის რევიზია. მოხსენებას ამ რევიზიის შედეგის შესახებ იგი წარადგენს კანონით განსაზღვრულ საერთო წესისამებრ.

24. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

ა) აწარმოოს თვითდაბეგვრის რაოდენობის საერთო აღნუსხვა ა/კსფსრ ფინანსსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ფორმების მიხედვით.

ბ) თვალყური ადევნოს, რათა თვითდაბეგვრის დროს ზედმიწევნით დაცულ იქნეს ამა დებულების მე-2 და 7 მუხლებში აღნიშნული წესები;

გ) შეიმუშაოს ადგილობრივი ფასების მიხედვით თვითდაბეგვრაში შრომით მონაწილეობისა და ნატურად შეტანის ფორმების ფულად გადატანის შკალა და დაამტკიცოს იგი;

დ) გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

**შენიშვნა**. საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ მოვალეობათა განახორციელებენ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით.

25. მოსახლეობის თვითდაბეგვრა სხვა რამ საზოგადოებრივი საქმეებისათვის, რაც გათვალისწინებული არ არის ამა დადგენილების მე-2 მუხლში, შეიძლება მხოლოდ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, შემდეგი 26—28 მუხლებისამებრ.

26. დადგენილება ნებაყოფლობით თვითდაგვრის შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნეს სოფლის საერთო ყრილობაზე ან მოსახლეობის სხვა რამ კრებაზე; ასეთ დადგენილებაში გარკვეულად უნდა იქნეს აღნიშნული თვითდაბეგვრის მიზანი და თვით აბეგვრით დაწესებული შესატანის საერთო რაოდენობა, ის თუ როგორ უნდა განაწილდეს თვითდაბეგვრით გადასახდელი სახსარი იმ მოქალაქეთა შორის, რომელთაც ხმა მისცეს თვითდაბეგვრის შემოღებას; უნდა აღინიშნოს აგრეთვე თვითდაბეგვრით შემოსული სახსარის მოხმარების და ამ მოხმარების კონტროლის წესი. დადგენილება სავალდებულო არ არის იმ პირთათვის, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ კრებაში, და აგრეთვე იმ პირთათვის, რომელთაც თავი შეიკავეს კენჭის ყრის დროს ან ხმა მისცეს დადგენილების მიღების წინააღმდეგ.

27. ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრის გამო აღძრული ყველა დავა შეძლება გადაწყვეთილ იქნეს მარტოოდენ სასამართლო წესით. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრატიული ზეგავლენისა ან იძულებით რაიმე ღონისძიების მიღება არ შეიძლება. თემისა და სოფლის საბჭოებსა და სხვა ადმინისტრატიულ და საფინანსო ორგანოებს აკრძალული აქვთ ჩაერიონ ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრის განხორციელებისა და ცალკე მოქალაქეთა ხვედრი შესატანის გადახდევინების საქმეში.

28. ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრით შეგროვილი სახსრების არა იმ მიზნისათვის მოხმარება, რისთვისაც შეიკრიფა იგი, იდევნება სისხლის სამართლის წესით.

29. დებულება ესე არა ვრცელდება ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ თავის წევრებს შორის გამოსაღების შეკრეფაზე, უკეთუ მას უფლება აქვს, თავისი წესდების ან დებულების თანახმად, დაბეგროს თავისი წევრები, რათა დააკმაყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფილოს ესა თუ ის საჭიროება. ასეთი გამოსაღების შეკრეფა და სახსარის ხარჯვა სწარმოებს სათანადო წესდებით თუ დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 68 №-ში 1929 წ. მარტის 27.

---

## 72. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

### ზოგიერთი სამაზრო სასამართლოს გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1929 წ. თებერვლის 1-დან გაუქმებულ იქნეს ბორჩალოს, ახალციხისა, ახალქალაქისა, შორაპნისა, რაჭა-ლეჩხუმისა, სენაკისა, ხუგდიდისა და ოზურგეთის სამაზრო სასამართლოები.

2. ის საქმეები, რაც ქვემდებარეობის წესების თანახმად, ექვემდებარებოდა ამა დადგენილობის 1 მუხლის მიხედვით გასაუქმებელ სამაზრო სასამართლოებს, გადაეცეს განსახილველად უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებს, თანაც მიეცეს უზენაეს სასამართლოს უფლება ამ საქმეებიდან ცალკე საქმეები ან საქმეთა კატეგორიები გადასცეს განსახილველად სახალხო სასამართლოებს.

3. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს დაწერილებითი ინსტრუქცია ამა დადგენილების აღსრულებისათვის და ამავე დადგენილებით გაუქმებული სამაზრო სასამართლოების წარმოებაში ქონებული საქმეების გადაცემის წესისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრუთებელ კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 26.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 74 №-ში 1929 წ. აპრილის 5-ს.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 73. დადგენილება ც. ა. კ.

**სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის სამდღიურის ჩატარების შესახებ.**

ბავშვთა უპატრონობასთან საბრძოლველად და მის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოთა მატერიალური სახსარის გასაძლიერებლად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება მიეცეს უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიას მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამდღიური ამა წლის აპრილის 21, 22 და 23-ს „ლენინის სახელობის სამდღიური"-ს ლოზუნგით შემდეგ საფუძველზე:

ა) მოაწყოს სამდღიურის განმავლობაში საჯაარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები ბავშვთა უპატრონობის გამომწვევი მიზეზებისა და მასთან ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ, რისთვისაც გამოიყენებს საზოგადოებრივ აუდიტორიებს, სადგომებს, კინო-თეატრებს და რადიო გადაცემას;

ბ) შეაგროვოს ფული აღნიშნული დროის განმავლობაში ყველა ქალაქებში ნებაყოფლობით ყულაბებით—ქუჩებში, საზოგადოებრივ ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებათა სადგომებში;

გ) შეაგროვოს შეწირულებანი;

დ) მოაწყოს მომგებიანი ლოტერეები, ტირები და კიოსკები;

ე) მოაწყოს სამდღიურის განმავლობაში ლოტო და მექანიკური თამაშობანი ქ. ტფილისსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბათუმსა და სოხუმში;

ვ) აწარმოოს სპეციალური ჟეტონებისა, ღია ბარათებისა და ჟურნალების გაყიდვა;

ზ) მოაწყოს ფასიანი საღამოები, კონცერტები და კინო-წარმოდგენები, რისთვისაც გამოიყენებს სანახაობის საწარმოთა თავისუფალ სადგომებს.

2. დაწესებულ იქნეს იმავე სამი დღის განმავლობაში სპეციალური დაბეგვრა უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის სასარგებლოდ:

ა) სასტუმროების ბრუნვის სპეციალური გამოსაღები—სასტუმროს საშუალო სამდღიური ბრუნვის 10%-ის რაოდენობით: ტფილისსა, ქუთაისსა და ფოთში;

ბ) სარესტორანო ხასიათის საწარმოებისა, ღვინის საწყობებისა და საკომისიო მაღაზიების ბრუნვის სპეციალური გამოსაღები ქალაქებში საშუალო სამდღიური ბრუნვის 10%-ის რაოდენობით;

გ) სპეციალური გამოსაღები ქ. ტფილისის გოგირდის აბანოში ცალკე ნომრების სარგებლობისათვის ამ მომსახურეობის ნიხრით დაწესებული ღირებულების 10%-ის რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს სამდღიურის განმავლობაში გამოუშვას მთავარ ხაზებზე ორი ტრამვაის ვაგონი და მიღებული ფული მთლად გადასცეს უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიას.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განახორციელებს უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია ამ მიზნებისათვის ცალკე დაარსებული სამდღიურის ჩამტარებელი კომიტეტის მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



5. დაევალოს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი სათანადო რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. აპრილის 2.
ტფილისი—სასახლე.

---

## 74. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

**საბავშვო დაწესებულებებიდან იმ მარტოხელა მშრომელ ქალთა შვილების დათხოვნის აკრძალვის შესახებ, რომელთაც საშოვარი დაჰკარგეს.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს საწარმოს თუ დაწესებულების ხარჯზე მყოფ საბავშვო სახლიდან, ბაგიდან და სხვა სათანადო დაწესებულებიდან იმ მარტოხელა მშრომელ ქალთა ბავშვების დათხოვნა, რომელთაც საშოვარი დაჰკარგეს,—ვიდრე დედა სხვა დაწესებულებაში, თუ საწარმოში სამუშაოს იშოვიდეს.

2. ბავშვის საბავშვო დაწესებულებიდან დათხოვნა, ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იმ დღიდან, რა დღიდანაც დედა სათანადო დაწესებულებაში თუ საწარმოში მუშაობას შესწყვეტს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. აპრილის 2.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-89 №-ში 1929 აპრილის 20.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 75. დადგენილება ს. კ. ს.

**ტრანსპორტის საჭიროებისათვის საბალასტო და ქვის კარიერების დასამუშავებლად სბადო ადგილებისა და ზედაპირის ნაკვეთების მიჩენისა და გამოყენების წესის შესახებ.**

ტრანსპორტის ორგანოებისათვის სბალასტო და ქვის კარიერების დასამუშავებლად სბადო ადგილებისა და ზედაპირის ნაკვეთების მიჩენის საკითხის მოსაწესრიგებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სბჭო ადგენს:

1. ტრანსპორტის განკარგულებაში გადაცემული მიწების დებულების მე-9 მუხლის წესისამებრ გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებული მიწის ზოლის ფარგალში მდებარე საერთოდ გავრცელებული სასარგებლო მადნეულობის სბადოები (სსრკ სამთო დებულების მე-15 მუხლის 1-ლი შენიშვნა) დამუშავებულ უნდა იქნეს აღნიშნული ორგანოების მიერ, სსრკ სამთო დებულების 87 მუხლის თანახმად, გარეშე განსაკუთრებული ნებართვისა და უსასყიდლოდ.

2. სბალასტო და ქვის კარიერების დასამუშავებლად გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის საჭირო სბადოებს, რაც ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული მიწის ზოლის გარეშეა, მიუჩენენ ის ორგანოები, რომელთა გამგებლობაშიაც ეს სბადოებია, სამთო დებულების იმავე 87 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების პრინციპზე; თანაც აუცილებლად გადასცემენ აღნიშნული დამუშავების განსახორციელებლად საჭირო ზედაპირის ნაკვეთებს ზემოდ დასახელებული სამთო დებულების 107 მუხლის მე-2 კარის წესისამებრ.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული სბადოების დამუშავების უფლებისათვის გადასახდევინებელი სასყიდლის როოდენობას, რაც გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებმა უნდა გაიღონ სსრკ სამთო დებულების 90 მუხლის შენიშვნისა და 92 მუხლის თანახმად, განსაზღვრავს, ფულადი სასყიდლის სახით მოცულობის ერთეულზე ფაქტიურად ამოღებული მადნის გამოანგარიშების მიხედვით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი სბჭო; ამ სასყიდლის როოდენობის ვარაუდს სახალხო მეურნეობის უმაღლესი სბჭო აცნობებს ფინანსთა სახალხო კომისარიატს; ამასთანავე, უკეთუ ეს უკანასკნელი, ერთი თვის ვადაზე დღიდან ცნობის მიღებისა, საწინააღმდეგოს არას განაცხადებს, ეს განუცხადებლობა მიიღება როგორც ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანხმობა სასყიდლის როოდენობის ვარაუდზე; ხოლო, უკეთუ ფინანსთა სახალხო კომისარიატი თანხმა არ იქნება სახალხო მეურნეობის უმაღლესი სბჭოს მიერ ნავარაუდევი სასყიდლის როოდენობისა, საკითხი საბოლოოდ უნდა გადასწყვეტოს საქართველოს სსრ ეკონომიურმა სბჭომ.

4. ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნული წესი გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის სბადოებისა და ზედაპირის ნაკვეთების მიჩენის შესახებ დადგენილ უნდა იქნეს 1929 წლის იანვრის 1-დან.

ამ საკითხის გამო ამ ჟამად მომქმედი ყველა ხელშეკრულება სათანადოდ უნდა შეიცვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



5. უკეთუ ორგანო, რომლის გამგებლობაშიაც საერთოდ გაგრცელებული მადნეულობის საბადოებია, მოითხოვს ისეთ რამეს, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლს ეწინააღმდეგება, ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ არ უნდა იქნეს.

6. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამოიანგარიშოს ერთი თვის ვადაზე სასყიდლის რაოდენობა მე-2 მუხლში აღნიშნული საბადოების დამუშავების უფლებისათვის და აგრეთვე გამოსცეს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამ სასყიდლის გადახდევინების წესისა და ვადების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წლის აპრილს 2.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 89 №-ში 1929 წ. აპრილის 20.

---

## 76. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

### სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანების დაფარვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანური მნიშვნელობის ყველა უწყებას:

ა) მიიღოს სათანადო ღონისძიება სოციალური დაზღვევის გადასახადის იმ ვალის გადასახდელად, რაც მასზე ან მის ქვემდებარე სამეურნეო ორგანოზე ამა დადგენილების გამოცემის დროისათვის ირიცხება, ისე რომ აღნიშნული დავალიანება დაფარულ იქნეს არა უგვიანეს სამი თვის ვადისა ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან;

ბ) დაწუსოს სოციალურ დაზღვევის ორგანოებთან ერთად, „ა“ პუნქტში აღნიშნული პერიოდის ფარგალში, ზედმიწევნითი ვადები სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანების დაფარვისა.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის გადახდამ არ უნდა დააბრკოლოს სოციალური დაზღვევის მიმდინარე გადასახადის თავის დროზე შეტანა.

3. მეთვალყურეობის გაწევა უწყებათა მიერ ამა დადგენილების აღსრულებისათვის—დაეკისროს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოარკვიოს საბიუჯეტო დაწესებულებათა სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანება და შეიმუშაოს საკითხი, თუ რა გზით უნდა იქნეს დაფარული ეს დავალიანება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წლ. აპრილის 2.
ტფილისი—სასახლე.

---

## 77. დადგენილება ს. კ. ს.

**„ნარკოტიულ ნივთიერებათა წაროებისა და ვაჭრობის მოწესრიგებისათვის“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ**

„ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება-ვაჭრობის მოწესრიგებისათვის“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10-ს დადგენილების მე-7 მუხ. შესასრულებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი მუხ. 244) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აპრილის 2.
ტფილისი—სასახლე.

## ინსტრუქცია

**„ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოება-ვაჭრობის მოწესრიგებისათვის“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 10 ს დადგენილების შესაფარდებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. № 21, მუხ. 244).**

1. წარმოებით საწარმოსა, სააფთიაქო საწყობსა, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო საწყობსა და მის ფილიალებში ნარკოტიული პრეპარატები უნდა ინახებოდეს მხოლოდ ისეთ კარადებში, სადაც დაცულია ძლიერად მომქმედი ნივთიერებანი, ფარმაკოპეის პირობების შესაფერისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წარმოებითი საწარმო, სააფთიაქო საწყობი, აფთიაქი და საბეითლო საწყობი ვალდებულ არიან აწარმოონ შემოსულ და გასულ ნარკოტიულ პრეპარატების საგნობრივ ამორჩევითი აღნუსხვა.

3. საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნარკოტიული პრეპარატები მიეცემა ადრესატებს საბაჟოდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი, სხვა სათანადო დოკუმენტებთან ერთად, წარუდგენენ საბაჟოს, აგრეთვე ჯანსახკომის ნებართვას.

4. ნარკოტიული პრეპარატი, როგორც თავისთავად, ისე სხვა მედიკამენტებთან შერეული, გაიცემა აფთიაქიდან ექიმის რეცეპტით, რომელზედაც ექიმს უნდა ეწეროს ხელი და დასმული უნდა იყოს ექიმის პირადი ბეჭედი ან იმ დაწესებულების ბეჭედი, სადაც ეს ექიმი მუშაობს.

5. სამკურნალო დაწესებულების აფთიაქიდან, ამ დაწესებულებაში მომუშავე ექიმის რეცეპტით, ისეთი წამლის გაცემისათვის, რომელიც ნარკოტიულ ნივთიერებას შეიცავს, ბეჭედი საჭირო არ არის.

6. ექიმის რეცეპტს, რომლითაც ნარკოტიული პრეპარატია გამოწერილი, ძალა აქვს შვიდი დღე და ღამის განმავლობაში მისი გამოწერის დღიდან.

7. ნარკოტიული პრეპარატის განმეორებით გაცემის დროს რეცეპტი ხელმეორედ შემოწმებულ უნდა იქნეს ექიმის მიერ ამა ინსტრუქციის მე-10 და 11 მუხლებში გათვალისწინებული წესის დაცვით.

8. ექიმის თვითეული რეცეპტით აფთიაქებიდან შეიძლება გაიცეს როგორც მაქსიმუმი: ოპიუმი ნახევარი გრამი (0,5), მორფინი, ღეროინი, დონინი, პანტოპინი და კოკაინი სამი დეციგრამი (0,3), ბეითალის რეცეპტით კი—პირუტყვების საექიმოდ—ოპიუმი ათი გრამი (10,0), მორფინი, ღეროინი, დონინი, პანტოპინი და კოკაინი ერთ გრამამდე (1,0).

9. სამკურნალო დაწესებულებას და მის განყოფილებას ნარკოტიული პრეპარატები აფთიაქებიდან მიეცემა ისეთი რაოდენობით, რაც მას სჭირდება, დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ შემოწმებული და ამავე დაწესებულების ბეჭედდასმული მოთხოვნით.

10. ზედამხედველობა იმისთვის, რომ ამა ინსტრუქციით გათვალისწინებული წესი ნარკოტიული პრეპარატების წარმოებისა, მიღებისა, შენახვისა, გაცემისა და აღნუსხვისა სისწორით იქნეს აღსრულებული წარმოებით საწარმოში, სააფთიაქო საწყობში, აფთიაქში, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საბეითლო საწყობსა და მის ფილიალებში, სამკურნალო და საბეითლო დაწესებულებაში, დაეკისრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, მის ადგილობრივ ორგანოებს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო სამმართველოს—კუთვნილებისამებრ.

---

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 758. დაიბეჭდა 1250.